

საქართველოს კანონი

„წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, 16, 26.09.96, გვ.11) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. მე-10 მუხლის პირველი პუნქტის “გ” და “დ” ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“გ) სამშენებლო მასალებისათვის – 30 წლამდე;

დ) სხვა არამადნეული წიაღისეულისათვის – 30 წლამდე;”

2. კანონს დაემატოს 32¹ მუხლი შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 32¹ საქართველოს კონტინენტურ შეღწეზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით რეგულირებული ურთერთობათა სტაბილურობა

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს საქართველოს კონტინენტურ შეღწეზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მფლობელი პირის უფლებების დაცვას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები, თუ ისინი გააუარესებს საინვესტიციო პირობებს და/ან უარყოფით გავლენას მოახდენს ლიცენზიის მფლობელი პირის ლიცენზიით განსაზღვრულ უფლებებზე და ინტერესებზე არ შეეხება საქართველოს კონტინენტურ შეღწეზე გაცემულ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი ვრცელდება საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამოცემულ ნორმატიულ აქტებზეც, თუ ეს აქტები შეზღუდავს ლიცენზიის მფლობელი პირის მიერ ლიცენზიის შესაბამისად შექნილ და განხორციელებულ ქონებრივ უფლებებს.

3. სახელმწიფო ორგანოებს და თანამდებობის პირებს უფლება არა აქვთ ლიცენზიის მფლობელს შეუქმნან რაიმე წინააღმდეგობა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით მინიჭებული უფლებების რეალიზაციის დროს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი არღვევს საქართველოს კანონმდებლობას ან ლიცენზიის პირობებს.

4 წინამდებარე მუხლი არ ვრცელდება “ნავთობისა და გაზის შესახებ” საქართველოს კანონით რეგულირებულ ურთერთობებზე

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი